



ოქმი:ო12.37203221

თარიღი:17/11/2020

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2020 წელი, 11 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ლ. საჯაია - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: მ.ზოიძე, ნ.ორაგველიძე, ჯ.თავართქილაძე, ალ.ღლონტი, ლ.სიჭინავა, ლ.ნინიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, მ.ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ლელა საჯაია

2.გენდერული თანასწორობის საბჭოს დაფინანსების თაობაზე.

მომხსენებელი: ლელა საჯაია

კომისიის წევრებმა მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია კომისიაში შემოსული წერილების შესახებ: პირველად განიხილეს შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები შავი ზღვის უნივერსიტეტის უნარშეზღუდული სტუდენტის მარიამ გარაყანიძის განცხადება, იგი არის სახელმწიფო 100% და უნივერსიტეტის 20% პროცენტის გრანტების მქონე, ოჯახს არსებული პანდემიის გამო შეექმნა ეკონომიური პრობლემები, არ ააქვს სწავლის დარჩენილი საფასურის 1700 ლარის დაფარვის საშუალება და ითხოვს დახმარებას. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით გაუწიოს სტუდენტს ფინანსური დახმარება.

განიხილეს არასამთავრობო ორგანიზაციების წერილი, რომელიც ეხებოდა ქ.ოზურგეთში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის პროგრამულად დაფინანსებას და ასევე ნარჩენების მართვის უკეთ ორგანიზაციას. კომისიის წევრებმა განიხილეს, იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას განხილვისა და წერილში დასმული საკითხების შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინების მიზნით.

იმსჯელეს გენდერული თანასწორობის საბჭოს დაფინანსების თაობაზე, აღინიშნა, რომ დაფინანსებაში გათვალისწინებული იყო ფსიქიურად დაავადებული და ალსაზრდელად მინდობილი ადამიანების დახმარების მიზნით თანხები, მაგრამ

პანდემიის გამო შექმნილ სიტუაციაში საეჭვოა მათი დაფინანსება, რაც შეეხება საბჭოს დაფინანსებაში არსებულ ქ.ოზურგეთში საზოგადოებრივი საპირფარეშოს აგებას, იგი აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

კომისიის წევრმა რ.სკამკოჩაიშვილმა დააყენა საკითხი ოზურგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელთა ფულადი დაჯილდოების შესახებ, კომისიის წევრთა აზრით მათი მატერიალური წახალისება შესაბამისმა სამინისტრომ უნდა განახორციელოს.

გადაწყვიტეს:

- 1.სტუდენტ მარიამ გარაყანიძის თაობაზე-მიემართოს მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით გაუწიოს სტუდენტს ფინანსური დახმარება.
- 2.არასამთავრობო ორგანიზაციების წერილზე- წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას განხილვისა და წერილში დასმული საკითხების შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინების მიზნით.
- 3.გენდერული საბჭოს დაფინანსებაში გათვალისწინებული იქნას ქ.ოზურგეთში საზოგადოებრივი საპირფარეშოს აგება.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

